საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯორჯიან ბილდინგ გროუფ"-ის (ს/კ202268134) დირექტორი

ბ-ნი გიორგი ერისთავის

ელ.ფოსტა. cement1009@gmail.com

ტ. 579 50-39-53; 571 99-65-65

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯორჯიან ბილდინგ გროუფ"-ის ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, ელ. ანდრონიკაშვილის ქ. #29, ს/კ 01.11.03.008.060,** გააჩნია ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) (GPS კოორდინატში X=482950.00; Y=4629050.00).

აღნიშნულ საწარმოზე, 2015 წლის 02 აპრილი #18 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2015 წლის 03 აპრილს გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (#239).

აღნიშნული საწრმოს ექსპლოატაციის პერიოდში პროდუქციის გამოშვების პერიოდში განხორციელდა 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ტექნოლოგიური ხაზის გაუმჯობესება, რომლის შემდეგ შესაძლებელი გახდა აღნიშნულ წილსქვილში საათში 35 ტონა ცემენის მიღება ნაცვლად 30 ტონისა. შესაბამისად წელიწადში შესაძლებელი გახდა 277200 ტონა ცემენტის მიღება ნაცლად 237600 ტონისა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა", ამიტომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯორჯიან ბილდინგ ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) ზემოთ აღნიშნული** ცვლილებებთან დაკავშირებით (წლიური სიმძლავრის გაზრდა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით გიორგი ერისთავი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;

№ 131
08 01 20
1/8/CD